ასიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
04.04.2011 N 26
თბილისი

პროფესიულ საგანმანათლებლო
პროგრამებზე მიღების
გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის №17 გადაწყვეტილების, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 23 მარტის №422 დადგენილების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2011 წლის 1 აპრილის №08–2–20/4175 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დანართი 1);
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მისაღებად, კონტინგენტის შესარჩევად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის და ჩარიცხვაზე გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. იური ლომიძე – სწავლების დეპარტამენტის უფროსი, თავმჯდომარე;
2. გიორგი აბრამიშვილი – სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე;
3. ლალი ღოღელიანი – პასუხისმგებელი მდივანი;
4. ნინო ჩორხაული – პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე;
5. ხათუნა ლეჟავა – პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე;
6. გიორგი ძიძიგური – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
7. დენიტა ბიბილეიშვილი – სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
8. ზურაბ გედენიძე – სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი;
9. გია არაბიძე – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი;
10. ანზორ აბშილავა – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ფაკულტეტის დეკანი;
11. ნუგზარ წერეთელი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი;

12. ოთარ გელაშვილი – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი;
13. გოჩა მიქიაშვილი – არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
14. რუსუდან ქუთათელაძე – ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;
15. ზურაბ წვერაიძე – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
16. რევაზ ცნობილაძე – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი;
17. ბორის გითოლენდია – სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

3. კომისიამ უზრუნველყოს საბუთების მიღება არსებული წესის თანახმად, 2011 წლის 11 აპრილიდან 26 აპრილის ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე, სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში (III სართული, ოთახი 350);
4. კომისიამ საბუთების მიღების, კონტინგენტის შერჩევისა და ჩარიცხვაზე გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურით" (დანართი 2);
5. პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხვა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასრულდეს 2011 წლის 4 მაისამდე;
6. ჩარიცხული სტუდენტების მონაცემები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 7 დღის ვადაში შეტანილ იქნეს სტუ-ს რეესტრში;
7. ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს საინფორმაციო ცენტრს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ;
8. სწავლა დაიწყოს 2011 წლის 16 მაისს;
9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს ლევან კლიმიაშვილს;
10. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე;
11. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მ. შ. *ლ. კლიმიაშვილი*

ვიზები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
გ. ძიძიგური
სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე